ქალების უხილავი შრომა ქმრების ემიგრაციის პირობებში - ავარელი ქალების გამოცდილება

თბილისი, საქართველო

2025

ქალების უხილავი შრომა ქმრების ემიგრაციის პირობებში - ავარელი ქალების გამოცდილება

თბილისი, საქართველო
2025

ავტორი:

ანა პაჭიკაშვილი (ორგანიზაცია „საქართველოს უდიები“)

ანგარიში დაიწერა პროექტის – „ქალთა ლიდერობა დემოკრატიისთვის საქართველოში“ – ფარგლებში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური პროგრამის „ყველა ქალი და გოგო მნიშვნელოვანია“ ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ან CRRC–საქართველოს ოფიციალურ პოზიციას.

სარჩევი

მოკლე შეჯამება 4

შესავალი 6

კვლევის კონტექსტის მიმოხილვა 7

კვლევის მეთოდოლოგია 8

კვლევის მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა 9

- შრომის განაწილება 9
- ფინანსური დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღება 10
- ემოციური მდგომარეობა და თემის მხარდაჭერა 11
- პირადი ოცნებები 12

დასკვნა 13

რეკომენდაციები 14

მოკლე შეჯამება

კაცების შრომითი ემიგრაცია გლობალურად და საქართველოშიც ხშირად ეკონომიკური სარგებლის ჭრილში განიხილება, თუმცა, ნაკლებად ჩანს ის სოციალური ფასი, რომელსაც ამ პროცესში ქალები იხდიან. განსაკუთრებით ეთნიკურად განსხვავებულ და სოფლად მცხოვრებ თემებში ქალების შრომა, ქმრების ემიგრაციის პირობებში, ხშირად, უხილავი რჩება. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ავარელი ქალების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას ქმრების ემიგრაციის პირობებში. მთავარი ამოცანა იყო იმის შესწავლა, თუ როგორ ახერხებენ ავარელი ქალები შრომის განაწილებას ოჯახში, სოციალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას და სტრესთან გამკლავებას.

კვლევის მეთოდოლოგია ემყარებოდა თვისებრივ მიდგომას, კერძოდ, გამოყენებული იქნა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები. რესპონდენტები შეირჩნენ ასაკის, სოციალური სტატუსისა და განათლების დონის მიხედვით. ინტერვიუები, ძირითადად, ყვარლის მუნიციპალიტეტის სამ ავარულ სოფელში – ჩანტლისყურეში, თივსა და სარუსოში მცხოვრებ ქალებთან ჩატარდა.

კაცების ემიგრაციის შემდეგ ავარელ ოჯახებში ქალების შრომითი დატვირთვა მნიშვნელოვნად იზრდება. მათზე გადადის ფიზიკური შრომის ტვირთი სხვა საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებულ პასუხიმგებლობებთან ერთად. ქალები საკუთარ თავზე იღებენ ფინანსების მართვას, ოჯახის ბიუჯეტის დაგეგმვასა და ბაზარზე პროდუქციის გაყიდვას – საქმიანობას, რომელიც ტრადიციულად მათ თემში „კაცის როლად“ მიიჩნევა. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებების მიღებაში მათი ავტონომია იზრდება, კვლევა აჩვენებს, რომ პატრიარქალური კონტროლის, თვითშეზღუდვისა და თვითცენზურის ნიშნები კვლავ ძლიერია – ქალები თავს კვლავ ვალდებულად თვლიან, ფინანსური გადაწყვეტილებები ქმარს შეუთანხმონ.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ქალების პირადი სურვილები და ოცნებები ხშირად დათრგუნულია კულტურულ–ტრადიციული ნორმებით. ავარელ ქალებს უჭირთ პირად მიზნებსა და ინტერესებზე საუბარი და მაშინაც კი, როდესაც ისინი არსებობს, კულტურულ–ტრადიციული ნორმები და თემის მოლოდინები მათ განხორციელებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. ავარელი ქალების ცხოვრება სრულად არის ორიენტირებული ოჯახის გადარჩენასა და სხვებზე ზრუნვაზე, რის შედეგადაც საკუთარი განვითარების, დასვენების ან თვითრეალიზაციის შესაძლებლობები უკანა პლანზე ინაცვლებს.

ავარელი ქალების გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ქმრების ემიგრაციის პირობებში ისინი ასრულებენ ორმაგ შრომას, რაც მათი ოჯახისა და თემის მდგრადობის საფუძველია, თუმცა, კვლავ უხილავი რჩება პოლიტიკისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის დონეზე. მნიშვნელოვანია სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორმა შეიმუშაონ მიზანმიმართული სტრატეგიები მათი გაძლიერებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებასა და ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას.

შესავალი

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 3 000 ავარი ცხოვრობს. ისინი, ძირითადად, ყვარლის რაიონის სამ სოფელში – ჩანტლისყურეში, თივსა და სარუსოში არიან დასახლებული. აღნიშნული სოფლები მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 15 კილომეტრით, ხოლო ერთმანეთისგან მხოლოდ რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. სოფლებში ემიგრაციის მაღალი დონე შეიმჩნევა. აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში მხოლოდ მამაკაცები მიდიან. ადრეულ წლებში, ემიგრაციის ძირითადი მიმართულება რუსეთის ფედერაცია იყო, თუმცა, რუსეთ–უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, მობილიზაციის რისკის გამო, თავს არიდებენ რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებას და უფრო ხშირად ევროპის ქვეყნებში მიდიან. ამჟამად ყველაზე პოპულარული დანიშნულების ადგილი დასაქმებისთვის პოლონეთია.

სახლში დარჩენილი ქალები ზრუნავენ ბავშვებზე, მოხუცებზე, სასოფლო–სამეურნეო სავარგულებზე, საქონელსა და ოჯახის ყოველდღიურ საჭიროებებზე. ავარელი ქალები, როგორც წესი, არ არიან დასაქმებული მუნიციპალიტეტის საჯარო სამსახურებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, ასევე, მაღაზიებში, სალონებში, საავადმყოფოებსა თუ სხვა დაწესებულებებში. მათი განათლება უმეტესად სასკოლო განათლების დონით შემოიფარგლება. სკოლის დასრულების შემდეგ მათი დიდი ნაწილი ქორწინდება და განათლების მიღებას აღარ აგრძელებს.

ავარული თემი საკმაოდ იზოლირებულია, რაც ხშირად მათი ეთნიკური უმცირესობის სტატუსითაა განპირობებული. ტრადიციულ საზოგადოებაში, მათ შორის ავარულ თემშიც, კვლავ ძლიერია მოძველებული პატრიარქალური წეს–ჩვეულებები. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესო საკვლევი საკითხია ქალების უხილავი შრომა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ოჯახის კაცები ემიგრაციაში ერთი წლით ან უფრო ხანგრძლივი პერიოდით მიდიან.

კვლევის ჩატარებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, იგი მიზნად ისახავდა სოციალურ ცვლილებებზე დაკვირვებას – კერძოდ, იცვლება თუ არა და როგორ იცვლება ქალების როლი პატრიარქალურ წესრიგში, როდესაც ისინი პასუხისმგებელი ხდებიან არა მხოლოდ შინამეურნეობაზე, არამედ ოჯახის ეკონომიკურ და ფინანსურ კეთილდღეობაზეც და უწევთ ტრადიციული „ქალის და კაცის როლების“ შეთავსება. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კაცების ემიგრაციის გავლენის შესწავლა თავად თემის სტრუქტურაზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ქალებს ლიდერის ფუნქციის შესრულება უწევთ. მესამე მიზეზი უკავშირდებოდა ქალების უხილავი შრომის წარმოჩენას, რომელიც საზოგადოებაში ნაკლებად არის დაფასებული, მაშინ როდესაც ქმრების ემიგრაციის პირობებში ქალებს

გაცილებით მეტი ტვირთის ტარება უწევთ. ასევე, საინტერესო იყო ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხის კვლევა, თუ რამდენად დამოუკიდებლად იღებენ ქალები იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ოჯახის ფინანსების მართვასთან არის დაკავშირებული და იცვლება თუ არა ეს სიტუაცია ქმრების დაბრუნების შემდეგ. და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ კვლევამ უფრო ფართო საზოგადოებას გააცნოს ავარელი ქალები, მათი შრომა და საჭიროებები, ასევე დაგვაფიქროს მათი ეკონომიკური გაძლიერების გზებზე, რაც მომავალში არა მხოლოდ თემის, არამედ ქვეყნის საერთო კეთილდღეობასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

კვლევის კონტექსტის მიმოხილვა

ქალების უხილავი შრომა ქმრების მიგრაციის პირობებში გლობალურ და ადგილობრივ დონეზე წარმოადგენს მიგრაციის, გენდერული უთანასწორობისა და ზრუნვის ეკონომიკის გადაკვეთის ერთ–ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ სფეროს. საქართველოში, განსაკუთრებით ეთნიკურად განსხვავებულ და სოფლად მცხოვრებ თემებში, ქალები ქმრების ემიგრაციის შედეგად ხდებიან არა მხოლოდ ბავშვებისა და მოხუცების ყოველდღიური მზრუნველები, არამედ ხშირად ოჯახის ეკონომიკური და სოციალური მდგრადობის გარანტებიც. მიუხედავად ამისა, მათი შრომა კვლავ უხილავი რჩება.

ტრადიციულად პატრიარქალურ თემებში, როგორიცაა ავარელთა თემები კახეთში, ქმრების ემიგრაცია გენდერულ ტრანსფორმაციებს იწვევს, რომლის შედეგადაც ქალები რეალურად ითავსებენ ოჯახის მართვასთან დაკავშირებულ ფუნქციებს, თუმცა, საზოგადოებრივ დონეზე მათი შრომა კვლავ არ არის აღიარებული. ეს მიგნება გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია, უფრო სიღრმისეულად შევისწავლოთ, თუ როგორ ფუნქციონირებს ოჯახები ქმრების ემიგრაციის პირობებში, როგორ ნაწილდება ზრუნვის შრომა და რამდენად იცვლება ქალების რეალური და აღქმული სოციალური როლები.

ქალები, ქმრების ხანგრძლივი ემიგრაციის პირობებში, პასუხისმგებლობას იღებენ არა მხოლოდ ოჯახის, არამედ თემის მდგრადობაზე. ხშრად ქალებს უწევთ ერთდროულად გაუმკლავდნენ ემოციურ დატვირთვას, ეკონომიკურ დაუცველობას და კულტურულ ზეწოლას, რომელიც ზღუდავს მათი რეალური ძალაუფლების აღიარებას. მიუხედავად ამისა, ტრადიციული რელიგიური და პატრიარქალური ჩარჩოები ვერ ეწინააღმდეგება ფაქტს, რომ ქალები ხდებიან ოჯახების და თემების რეალური საყრდენი, თუმცა, ეს ხდება „დუმილის“ და მათი შრომის არაღიარების პირობებში.

კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში 10 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ ჩატარდა ყვარლის რაიონის სამ სოფელში – ჩანტლისყურეში, თივსა და სარუსოში მცხოვრებ ქალებთან, რომელთა ქმრები იმყოფებიან ან იმყოფებოდნენ ემიგრაციაში. რესპონდენტები შეირჩნენ ასაკის, სოციალური სტატუსისა და განათლების დონის მიხედვით.

შეკითხვები მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ოჯახში ეკონომიკური რესურსების მართვა, შვილების აღზრდის პასუხისმგებლობის განაწილება, ქალების მხარდაჭერა თემისგან და ასევე, თემის მოლოდინები ქალისგან, რომელიც მარტო რჩება ოჯახში, როგორც ყველაფერზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, კვლევამ მოიცვა ისეთი საკითხები, რომლებიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, მაგალითად, ეზღუდებათ თუ არა ქალებს პირადი თავისუფლება უფრო მეტად, როდესაც ქმრები მიდიან და რაში გამოიხატება ეს შეზღუდვები. საინტერესო იყო მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაანალიზებაც, ართმევენ თუ არა ასინი დამოუკიდებლად თავს სტრესს და თუ არსებობს ამ მიმართულებით მხარდაჭერის საშუალებები თემში ან ოჯახში. ამასთანავე, რესპონდენტებს დაესვათ კითხვები მათთვის სოციალურ უსაფრთხოების სერვისებზე ხელმისაწვდომობის შესახებ.

სიღრმისეული, პირისპირი ინტერვიუები ჩატარდა კვლევის ეთიკის ნორმების დაცვით. რესპონდენტებისგან მიღებულ იქნა ინფორმირებული თანხმობა აუდიო ჩანაწერების გაკეთების თაობაზე.

ინტერვიუების ჩატარება თავდაპირველად სირთულეს წარმოადგენდა, რადგან ქალები უარს აცხადებდნენ მონაწილეობაზე. მთავარი მიზეზი უნდობლობა იყო, რაც წარსულში მომხდარ ინციდენტს უკავშირდებოდა, როდესაც, მათი თქმით, სატელევიზიო მედიების მიერ მათი თემის ერთ–ერთი ტრადიციულ–კულტურული ასპექტი, რომელიც წინადაცვეთას უკავშირდება, არასწორად გაშუქდა. ისინი შიშობდნენ, რომ შესაძლოა იგივე ფაქტი განმეორებულიყო. თუმცა, საბოლოოდ მათთან შედგა სწორი კომუნიკაცია, რის შედეგადაც დათანხმდნენ კვლევაში მონაწილეობაზე.

კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვა, რაც შედეგების ინტერპრეტაციისას უნდა იქნას გათვალისწინებული. პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ თვისებრივი კვლევა არ იძლევა შედეგების განზოგადების შესაძლებლობას მთელ ჯგუფზე და იგი ასახავს კონკრეტულ ინდივიდუალურ გამოცდილებებს. ამასთანავე, კვლევის შეზღუდვას წარმოადგენდა რესპონდენტების მიერ ქართული ენის არცოდნა. ინტერვიუები ჩატარდა თარჯიმნის მეშვეობით, რომელიც ასევე კარგად არ ფლობდა ქართულ ენას და ხშირ შემთხვევაში დროსთან იყო დაკავშირებული რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხების სწორად ფორმულირება.

კვლევის მიგნებების აღწერა, ანალიზი და განხილვა

წინამდებარე თავში განხილულია შრომის განაწილება ოჯახში, ფინანსური დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღება, ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, თემის მხარდაჭერა და პირადი ოცნებები.

შრომის განაწილება

კვლევის მონაცემების თანახმად, ზოგადად, ავარულ თემში ქალების შრომა ძალიან დიდია, მიუხედავად იმისა, სად იმყოფება ქმარი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ოჯახში ფიზიკური სამუშაოს ძირითადი ტვირთი ქალებს აწევთ. როგორც ერთ–ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: *„ქალი კაცზე მეტს აკეთებს... არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც შეშაც კი მოაქვთ ქალებს ტყიდან“*. სხვა რესპონდენტის თქმით კი: *,,სოფელში ცხენებსაც კი ქალები უვლიან“*. აღსანიშნავია, რომ ქალის დახმარება სირცხვილად ითვლება.

ქალების ვალდებულებაა ოჯახის წევრების მოვლა, ასევე, სასოფლო–სამეურნეო სავარგულების მოვლა, მოყვანილი პროდუქტის რეალიზაცია, საქონლის მოვლა, მიღებული რძის პროდუქტების დამუშავება და რეალიზაცია. ამასთანავე, ქალი ვალდებულია სრულად იყოს პასუხისმგებელი შვილების საგანმანათლებლო საჭიროებებზე, მათ ექიმთან ვიზიტებზე და სხვა ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე. კვლევაში მონაწილე ქალების ინტერვიუებიდან ვასკვნით, რომ ერთადერთი საქმე, რასაც ოჯახში კაცი აკეთებს, ზამთარში შეშის დაჭრაა, თუმცა, რაც სოფელში ოჯახებმა გაზი შეიყვანეს, ამის საჭიროებაც უკვე ნაკლებად დგას. გარდა იმისა, რომ ქალები ოჯახებში უდიდეს შრომას სწევენ, ისინი დღიურ სამუშაოებზე სეზონურად მუშაობენ სხვადასხვა ტიპის მეურნეობებში – იქნება ეს მარწყვის დაკრეფა, თხილის დაკრეფა, რთველი თუ სხვა სამუშაოები. ქალები ხშირად 8 საათის ნაცვლად 12–16 საათს მუშაობენ დღეში კერძო სამუშაოებზე.

ქმრის ემიგრაციის დროს ქალების დატვირთვა კიდევ უფრო იზრდება არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ პასუხისმგებლობის თვალსაზრისითაც. როგორც ერთ–ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: *,,ქალები უფრო მეტს ცდილობენ, რათა სხვას არ ათქმევინონ, რომ მათი კაცი წავიდა და ოჯახი დაბეჩავდა. ხანდახან იმაზე მეტს იღებენ საკუთარ თავზე, ვიდრე ეს შეუძლიათ.“* იმ ოჯახებში, სადაც კაცი ემიგრანტია, ქალები იღებენ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას, მათ შორის, ითავსებენ ფიზიკურ სამუშაოებს.

ფინანსური დამოუკიდებლობა და გადაწყვეტილებების მიღება

ისევე როგორც სხვა სასოფლო თემებში, ავარულ თემშიც ფინანსებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. ამას მრავალი მიზეზი აქვს. პირველ რიგში, არ არის სამუშაოები, საიდანაც სტაბილური შემოსავალი ექნებათ. მათი შემოსავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის სასოფლო–სამეურნეო პროდუქტს გაყიდიან, რა ტიპის და სიხშირის დღიური სამუშაოები ექნებათ სეზონურად. თანხას, რომელსაც კაცი ან ქალი გამოიმუშავებს, ძირითადად, საოჯახო საჭიროებებზე იხარჯება, იქნება ეს საკვები, ტანსაცმელი, კომუნალური გადასახადები, თუ საგანმანათლებლო საჭიროებები.

ქმრების ემიგრაციამდეც ფინანსურ საკითხებზე გადაწყვეტილებებს უმეტესწილად ქალები იღებენ, თუმცა, ისინი თავს ვალდებულად თვლიან, ეს გადაწყვეტილებები ქმრებს შეუთანხმონ. მიუხედავად იმისა, რომ კაცების ემიგრაციაში წასვლამდე საოჯახო საჭიროებებისთვის ფინანსების მიზნობრიობას ქალები წყვეტენ, შეიძლება ითქვას, რომ კაცების ემიგრაციამ გარკვეულწილად გაზარდა ქალების ფინანსური ავტონომიურობა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებენ, რადგან ქმრები ფიზიკურად ადგილზე არ არიან და ვერ ჩაერთვებიან იმაში, თუ კონკრეტულად რაში რა თანხა დახარჯონ. უმეტეს შემთხვევაში, მეუღლეებს შორის არსებობს ნდობა. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილმა ისაუბრა ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ემიგრაციაში მყოფი ქმარი თანხას საერთოდ არ გზავნის, აგროვებს და ჩამოსვლის შემდეგ ერთობლივად ხარჯავენ.

ინტერვიუების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცების ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ქალები უფრო დამოუკიდებლად განკარგავენ საოჯახო ბიუჯეტს. ამასთან, ისინი ცდილობენ მიღებული გადაწყვეტილებები შეუთანხმონ ქმრებს. ქალების თქმით, ეს პრაქტიკა არსებითად არ იცვლება მაშინაც, როდესაც ქმრები ემიგრაციიდან ბრუნდებიან.

ემოციური მდგომარეობა და თემის მხარდაჭერა

ზოგადად, ავარულ თემში მოქმედებს სოლიდარობის ძლიერი ტრადიცია, განსაკუთრებით ნათესაური კავშირების ფარგლებში. ქალები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მეზობლები და სანათესაო მათ გვერდში უდგანან – იქნება ეს ტრანსპორტის საჭიროება, ექიმთან თუ ბაზარში წასვლა, შრომის გაზიარება და ა.შ თანადგომა განსაკუთრებით ძლიერდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქმარი ემიგრაციაში მიდის და თემმა იცის, რომ ქალს/ოჯახს შეიძლება დახმარება დასჭირდეს ისეთ საქმიანობაში, რომელიც ტრადიციულად კაცის საქმედ მიიჩნევა.

ერთ–ერთი რესპონდენტი იხსენებს: *„როცა ჩემი ქმარი წავიდა, ნათესავებმა მითხრეს, ოღონდ დარეკე, ეს მჭირდება – მოვალთ“.* მეორე რესპონდენტის თქმით, სასწრაფოდ ბალახის გატანა დასჭირდა მინდვრიდან და მის ქმარს არც გააგებინა, ნათესავები იმდენად სწრაფად დაეხმარნენ ამ სამუშაოს შესრულებაში. ამასთანავე, ქალების მარტო გადაადგილება ხშირად დაკავშირებულია შეზღუდვებთან და გამყოლის აუცილებლობასთან. ქმრის არყოფნის შემთხვევაში, როდესაც გამყოლი სჭირდებათ, ნათესავები ეხმარებიან და უარს არ ეუბნებიან, რადგან გამყოლის გარეშე სიარული თემში ცუდ ტონად ითვლება.

კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს გადატვირთულობასა და მარტოობის განცდაზე. სტრესის დაძლევის საშუალებები განსხვავებულია – ზოგს მეგობრებთან საუბარი ეხმარება, ზოგს – მედიკამენტები. ერთ–ერთი რესპონდენტის თქმით: *„თავზე იმდენი დამაწვა, რომ წამლის გარეშე ვერ ვიძინებ“.*

ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქმრის ემიგრაციის პერიოდს მსუბუქი სიმშვიდის განცდაც მოაქვს. ერთ–ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქმრის ემიგრაციის პერიოდს „უფასო შვებულებას“ ეძახის. „უფასო შვებულებაში“ იმას გულისხმობენ, რომ მეუღლის მოვლა ცალკე ტვირთია მათთვის. მაგალითად, დამატებითი საოჯახო საქმე, როგორიცაა საკვების მომზადება საღამოობით, ან ოჯახში მეუღლეების მეგობრების გამასპინძლება.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისურვებდნენ მათი ქმრები მეტად იყვნენ ჩართული შვილების აღზრდის პროცესში. მათი თქმით, არასრულწლოვანი ან თინეიჯერობას მიღწეული ბიჭების აღზრდა და მათი ქცევების მართვა, ხშირად, მათ ძალებს აღემატება და ასეთ დროს უფრო გამძაფრებულად გრძნობენ ქმრების დახმარების და ჩართულობის საჭიროებას. აღსანიშნავია, მიუხედავად თხოვნისა, რომ შვილების პრობლემების მოგვარებით მეტად დაკავდნენ, კაცები მაინც გაურბიან ამ პასუხისმგებლობას, რაც დამატებით სტრესს იწვევს თემში მცხოვრები ქალებისთვის.

პირადი ოცნებები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქმრების ემიგრაცია ქალებს პირად ოცნებებზე უარის თქმას აიძულებს. იმის გამო, რომ ისინი სრულად ხდებიან პასუხისმგებელნი შინამეურნეობაზე, ოჯახზე, ბავშვების აღზრდასა და სხვა ყველა აუცილებელ საქმიანობაზე, მათ პრაქტიკულად აღარ რჩებათ დრო საკუთარ ინტერესებსა და მისწრაფებებზე ფიქრისთვის. ისინი იმდენად დაკავებულები არიან ყოველდღიური რუტინით, რომ იმაზე ფიქრიც უჭირთ, კიდევ რა შეიძლება აკეთონ და თან ეს საქმე საკუთარ პერსონალურ სურვილს დაუკავშირონ. კვლევის რესპონდენტები აღიარებენ, რომ ყოველდღიურობაზე ფიქრის მიღმა სხვა პერსპექტივებზე ფიქრი და საუბარი მათთვის რთულია. თუმცა, ზოგიერთი რესპონდენტი გამოხატავს პროფესიული განვითარების სურვილს. მაგალითად, რამდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა ვიზაჟისტობის ან ექთნობის შესწავლის სურვილი. ერთ–ერთი რესპონდენტი აღნიშნავს: *„საშუალება რომ მქონდეს, ექთნობას ვისწავლიდი, სოფელში მედდა არ არის“. რესპონდენტები* ისურვებდნენ, რომ სოფელშივე ჰქონდეთ სილამაზის სალონი, აფთიაქი ან მაღაზია, სადაც თავადვე დასაქმდებოდნენ. მიუხედავად სურვილისა, ამ საკითხებზე ხშირად არ ან ვერ ფიქრობენ. ამის ერთ–ერთი მიზეზი კი ის არის, რომ უკვე იმდენად მძიმეა მათი ყოველდღიურობა, რომ დრო არ რჩებათ სწავლისთვის ან მუშაობისთვის.

ამასთანავე, რესპონდენტების თქმით, ერთ–ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ოჯახები ქალებისთვის განათლების მიღებასა და პროფესიულ განვითარებას საჭიროდ არ მიიჩნევენ. ავარულ თემში ფიქრობენ, რომ ქალის მთავარი საქმე დაოჯახებაა. გოგოების ყოლა ოჯახებისთვის ერთგვარ ტვირთს წარმოადგენს. ყველა ელოდება, როდის დაასრულებენ სკოლას, რომ დაოჯახდნენ და ოჯახებს ზედმეტი ტვირთი მოეხსნას. ოჯახების მხრიდან ქალების განათლებაში ჩადებული ინვესტიცია დაკარგულ რესურსად ითლება. შესაბამისად, ქალები იზრდებიან იმ რწმენით, რომ მათ ოჯახის მოვლის გარდა არაფერი შეუძლიათ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც გოგოები სკოლაში კარგად სწავლობდნენ და ერთი შეხედვით, ოჯახებიც თანახმანი იყვნენ სწავლა გაეგრძელებინათ, თუმცა, სასურველი სასიძოს გამოჩენის შემთხვევაში, უარს ამბობდნენ შვილების სწავლის და ცხოვრების დაფინანსების გაგრძელებაზე.

რესპონდენტებს უჭირთ ილაპარაკონ თუნდაც ყოველდღიური რუტინის ცვლილებაზე, მათი ოცნებები ისევ ოჯახებს და შვილებს უკავშირდება. მათი პირადი ოცნება შვილების ჯანმრთელობაა. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია მისმა ბიჭებმა ისწავლონ, რომ მისნაირი მძიმე ცხოვრება არ გაიარონ.

დასკვნა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ავარულ თემში მცხოვრები ქალების შრომის განაწილება ქმრების ემიგრაციაში ყოფნის პირობებში. მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ქმრების ემიგრაცია ქალების ცხოვრებაში ორმაგ შედეგს იძლევა. ერთი მხრივ, მატულობს მათი პასუხისმგებლობა და იზრდება ყოველდღიური დატვირთვა, მეორე მხრივ, ხშირად ქალები იღებენ ფინანსურ და საოჯახო გადაწყვეტილებებზე შედარებით უფრო დიდ გავლენას. მიუხედავად დამოუკიდებლობის გაზრდილი ხარისხისა, პატრიარქალური კონტროლის და თვითშეზღუდვის ნიშნები კვლავ ძლიერია და ქალები თავს კვლავ ვალდებულად თვლიან, ფინანსური გადაწყვეტილებები ქმარს შეუთანხმონ.

ემოციური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის კუთხით, ქალები ხშირად განიცდიან გადატვირთვას და სტრესს, თუმცა, თემისა და ნათესაური კავშირების სოლიდარობა მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მათთვის არ არის ხელმისაწვდომი მხარდამჭერი სოციალური პროგრამები მუნიციპალიტეტში და პრობლემების გაზიარება ისევ თემის შიგნით ხდება.

პირადი ოცნებების და პროფესიული ინტერესების მხრივ, ქალები ხშირად იძულებულნი არიან, უარი თქვან საკუთარ სურვილებსა და თვითრეალიზაციაზე, რადგან მათი ყოველდღიური რუტინა სრულად მოიცავს ოჯახის მოვლას. ოჯახები ქალების განათლებას და პროფესიულ განვითარებას ხშირად არასაჭიროდ მიიჩნევენ, და ფიქრობენ, რომ მათი მთავარი საქმე მხოლოდ დაოჯახება და ოჯახზე ზრუნვაა. შესაბამისად, ქალები იზრდებიან რწმენით, რომ მათ სხვა შესაძლებლობები პრაქტიკულად არ გააჩნიათ, ხოლო მათი პირადი ოცნებები უმეტესად შვილებისა და ოჯახის კეთილდღეობას უკავშირდება.

ავარელი ქალების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქმრების ემიგრაციის პირობებში ისინი ასრულებენ ორმაგ შრომას, რომელიც მათი ოჯახებისა და თემის მდგრადობის ერთ–ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს, თუმცა, ეს შრომა კვლავ უხილავი რჩება საჯარო პოლიტიკისა და ინსტიტუციური მხარდაჭერის დონეზე.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ეკონომიკური გაძლიერება და შესაძლებლობების გაფართოება

ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი მიზნობრივი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც ერთდროულად შეუწყობს ხელს შემოსავლის წყაროების შექმნასა და ფინანსური დამოუკიდებლობის გაძლიერებას. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია მცირე გრანტების პროგრამების დანერგვა, რაც ქალებს შესაძლებლობას მისცემს, ჩაერთონ მცირე ბიზნესის განვითარებაში – მათ შორის სოფლის ტურიზმის, ტრადიციული ხელნაკეთობებისა და აგროპროდუქციის წარმოების მიმართულებით.

ამასთანავე, აუცილებელია ქალთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება აგრარული, მომსახურების თუ სამეწარმეო უნარების გაძლიერების გზით, რაც გაზრდის მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს.

2. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა

მიზანშეწონილია ქალთა აქტიური ჩართვა თემის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც უშუალოდ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას ეხება. ქალთა მონაწილეობის გაზრდა ხელს შეუწყობს მათ გამოცდილებასა და საჭიროებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას, გააძლიერებს მათ სოციალურ პოზიციას თემში და შექმნის უფრო ინკლუზიურ გარემოს.

3. ფსიქო–სოციალური მხარდაჭერის სისტემის შექმნა

მნიშვნელოვანია, ადგილობრივ თვითმმართველობაში ფსიქო–სოციალური მომსახურების დანერგვა. ამასთან, მნიშვნელოვანია თემის შიგნით არსებული ქალთა არაფორმალური ქსელების ინსტიტუციონალიზება და მხარდაჭერა, რათა გაძლიერდეს სოლიდარობის პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედმა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საბჭომ შეიმუშაოს იმ ტიპის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, სადაც გათვალისწინებული იქნება ფსიქო–სოციალური მხარდაჭერის მექანიზმები და ადგილობრივი ბიუჯეტიც შესაბამისად დაიგეგმება.